www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა ინოვაციური აქტივობა

2024 წელი

30.05.2025
www.geostat.ge

30.05.2025

საწარმოების ინოვაციური აქტივობა

(2024 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2024 წლის განმავლობაში, საწარმოთა 7.3 პროცენტმა ბაზარზე შემოიტანა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი, ხოლო იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში დანერგეს ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება, განისაზღვრა 7.0 პროცენტით. საქონლისა და მომსახურების ინოვაციები უმეტეს შემთხვევაში საწარმოების მიერ დამოუკიდებლად იყო შემუშავებული (შესაბამისად 81.4 პროცენტი და 69.9 პროცენტი). სხვა შემთხვევებში ამ კუთხით მათ მხარდაჭერა მიიღეს სხვა საწარმოებისგან ან დაწესებულებებისაგან. განხორციელებული ინოვაციების 56.3 პროცენტი ახალი იყო საწარმოებისთვის, ხოლო 43.7 პროცენტი სიახლეს წარმოადგენდა ბაზრისთვის.

საწარმოთა მიერ ახალი ან გაუმჯობესებული ბიზნეს პროცესების ინოვაციების სტრუქტურა და მათი პროცენტული განაწილება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკში:

საწარმოთა წილი, რომელთაც დანერგეს ინოვაციები ბიზნეს პროცესებში მეთოდების მიხედვით, 2024



საწარმოთა მიერ ახალი ან გაუმჯობესებული ბიზნეს პროცესების ინოვაციების 80.9 პროცენტი შემუშვებული იქნა უშუალოდ საწარმოს მიერ, 22.6 პროცენტი — სხვა საწარმოებთან ან დაწესებულებებთან ერთად, 21.9 პროცენტი მოდის სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული საქონლის/მომსახურების ადაპტირება — მოდიფიცირების განახორციელებაზე, ხოლო 19.7 პროცენტი შემუშავებული იქნა სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ.

ეკონომიკური საქმიანობის სტრატეგიების შეფასებისას მაღალ ხარისხზე ფოკუსირებას საწარმოთა 47.2 პროცენტმა მიანიჭა მაღალი მნიშვნელობა, საწარმოთა 35.6 პროცენტი მაღალ მნიშვნელობას ანიჭებს ფოკუსირებას არსებული საქონლის/მომსახურების გაუმჯობესებაზე, ხოლო საწარმოთა 34.2 პროცენტი მაღალ მნიშვნელობას ანიჭებს ფოკუსირებას არსებულ მომხმარებელთა ჯგუფების დაკმაყოფილებაზე.

ბიზნეს გარემოს შეფასებისას, ძირითად გამოწვევად დაფიქსირდა საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდა, რაც იწვევს კლიენტების დაკარგვას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601) E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge